ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 145

ქ.თბილისი 13 სექტემბერი 2019 წელი

ერთი მხრივ **სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია,** მდებარე: ქ.თბილისი, ვ.გოძიაშვილის ქუჩა #49 (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი დირექტორის ირაკლი გულედანის სახით და მეორე მხრივ სსიპ ,,საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო“ მდებარე ქ. თბილისი, ჩარგლის ქ.#67 (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის დავით ტყემალაძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ურთიერთშეთანხმებით ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებას გამარტივებული საშუალებით შემდეგზე:

1. შესყიდვის ობიექტი

1.1 შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს სტანდარტების მიწოდება (CPV22470000) ქვემოთ მოცემული ცხრილისა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

№	დასახელება	გვერდების რაოდენობა	ფასი გვერდების რაოდენობის მიხედვით (ლარი)	რეგისტრაციის ღირებულება (ლარი)	სულ ღირებულება დღგ-ს ჩათვლით (ლარი)
1	სსტ ისო 1442:1997/2008	4			24.00
2	სსტ ისო 937:1978/2008	3			24.00
3	სსტ ისო 6332:1988/2008	4			24.00
4	სსტ ისო 19020:2017/2019	21	41	100	141.00
	სულ				**213.00**

1.2 შესყიდვის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტი.

2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა

2.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღე.

3. შესყიდვის ობიექტის ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 213.00 (ორას ცამეტი) ლარს.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება **,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს ანაზღაურებადი სამუშაოების (მომსახურების) სახელშეკრულებო საფასურების განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე“** საქართველოს მთავრობის 2017 წლის 22 თებერვლის №99 დადგენილების საფუძველზე.

4. ხარისხი და გარანტია

4.1 ,,მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული შესყიდვის ობიექტი იქნება ხარისხიანი და წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისი.

4.2 მიწოდებულ შესყიდვის ობიექტზე „მიმწოდებლის“ მიზეზით გამოვლენილი წუნის ან/და ხარვეზის გამოსწორებას „მიმწოდებელი“ უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით, „შემსყიდველისგან“ რაიმე დამატებითი დანახარჯების გარეშე.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელსაც „შემსყიდველის“ მხრიდან ხელს მოაწერს სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის მიკრობიოლოგიური კვლევების ლაბორატორიის უფროსი თამარ მოდებაძე და ზოგადი ქიმიის ლაბორატორიის უფროსი ნანა ხვედელიძე, ხოლო „მიმწოდებლის“ მხრიდან - მისი უფლებამოსილი პირი.

6. ანგარიშსწორება მხარეთა შორის

6.1 ანგარიშსწორება მხარეთა შორის განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10(ათი) საბანკო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:

7.1.1 უარი განაცხადოს უხარისხო შესყიდვის ობიექტის მიღებაზე.

7.1.2 შეამოწმოს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2 „შემსყიდველი“ ვალდებულია:

7.2.1 უზრუნველყოს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების დროული გადარიცხვა „მიმწოდებლის“ საბანკო ანგარიშზე.

7.3 „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.3.1 „შემსყიდველს“ მიაწოდოს ხელშეკრულების შესაბამისი შესყიდვის ობიექტი;

7.3.2 დაიცვას ხელშეკრულების ყველა პირობა;

7.4 ,,მიმწოდებელი“ უფლებამოსილია:

7.4.1 მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალიწინებული ვადების დაცვით.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა

8.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

8.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენისთვის დამრღვევ მხარეს ეკისრება საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

8.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს „შემსყიდველსა“ და „მიმწოდებელს“ ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

9. ფორს-მაჟორი

9.1 ამ მუხლის მიზნებისთვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისთვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული „შემსყიდველის“ და/ან „მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

9.2 ფორს-მაჟორული სიტუაციის დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების თაობაზე. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს, გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი გზები, რომლებიც თავისუფლი იქნება ფორს-მაჟორული გარემოებებისგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეიტანოს ამ ხელშეკრულებაში ცვლილებები.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო აუცილებელი ხდება ხელშეკრულების პირობებში ცვლილებების შეტანა, ცვლილებების ინიციატორი ვალდებულია, წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს „შემსყიდველი“ არ არის ვალდებული, „მიმწოდებელს“ წარუდგინოს რაიმე მტკიცებულებები იმ გარემოებათა თაობაზე, რომელთა გამოც წარმოიშვა ამ ცვლილებათა განხორციელების აუცილებლობა.

10.3 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

10.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია წინამდებარე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
10.5 ხელშეკრულებაში პირობების ცვლილება ფორმდება დანართის სახით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

11. ხელშეკრულების პირობების ინსპექტირება

11.1 ინსპექტირება გულისხმობს ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ხარისხის კონტროლს.
11.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას ,,შემსყიდველის" მხრიდან განახორციელებს წინამდებარე ხელშეკრულების 5.1 პუნქტში მითითებული პასუხისმგებელი პირი.

12. დამატებითი პირობები

12.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ კვალიფიციური ელ.ხელმოწერით ან კვალიფიცური ელ. შტამპით დადასტურებიდან და მოქმედებს 2019 წლის 20 ნოემბრის ჩათვლით.
12.2 ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მის დამდებ არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე გაასხვისოს, ან მესამე მხარეს გადასცეს თავისი უფლებები და მოვალეობები.
12.3 წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია, თუ ერთ-ერთი მხარე არღვევს წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს და ზიანს აყენებს მეორე მხარეს.
12.4 ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ ორივე მხარის წერილობითი თანხმობით.
12.5 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და მხარეების მიერ შესრულებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა ან/და დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული შტამპით.

13. დავათა განხილვის წესი

13.1 წამოჭრილ უთანხმოებებს მხარეები გადაწყვეტენ ურთიერთმოლაპარაკებით შეთანხმების საფუძველზე. ასეთის მიუღწევლობის შემთხვევაში - სასამართლო წესით მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

12. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

"შემსყიდველი"

სსიპ ,,საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია"

ს/კ: 205162802
მის: ქ.თბილისი, გოძიაშვილის ქუჩა #49
მომსახურე ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიში/სახაზინო კოდი: 707527102

ირაკლი გულედანი
დირექტორი

„მიმწოდებელი"

სსიპ ,,საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო"

ს/კ: 200162224
მის: ქ. თბილისი, ჩარგლის ქ.№67
მომსახურე ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიში/სახაზინო კოდი: 707177053
ტელ.: 261 35 00

დავით ტყემალაძე
გენერალური დირექტორი

laboratory of ministry of Agriculture of Georgia
Digitally signed by laboratory of ministry of Agriculture of Georgia
Date: 2019.09.13 11:53:08 +04'00'

LEPL Georgian National Agency for Standards and Metrology
Digitally signed by LEPL Georgian National Agency for Standards and Metrology
Date: 2019.09.13 12:12:54 +04'00'